**სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

**საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის N185 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის - „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში, Design-Build მეთოდით, სარეაბილიტაციო ობიექტებისათვის (ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის ლოკაციები) დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების შესრულების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის (NAT220025984) სატენდერო კომისიის სხდომის**

**ო ქ მ ი N 2**

სატენდერო კომისიის სხდომა ჩატარდა ქალაქ თბილისში, საკონფერენციო კავშირის მეშვეობით.

**სატენდერო კომისიის შემადგენლობა:**

**დავით ტაბიძე** - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი.

**გიორგი ციბაძე** - სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე.

**ლევან შარვაძე** - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე CFO.

**გიორგი კარტოზია** - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შეფასებისა და დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი.

**გრიგოლ ფერაძე** - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის უფროსი.

**ნიკოლოზ დოლიძე** - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი.

**ირაკლი ფარესიშვილი** - სატენდერო კომისიის წევრი, სატენდერო კომისიის მდივანი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი.

**ზაზა სიმონია** - სატენდერო კომისიის წევრი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის განახლებული რეგიონების პროგრამის მენეჯერი (GOG3).

**სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა:**

**ირაკლი თუშურაშვილი** - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შესყიდვების დეპარტამენტის სპეციალისტი.

**დღის წესრიგი:**

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის N185 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის - „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში, Design-Build მეთოდით, სარეაბილიტაციო ობიექტებისათვის (ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის ლოკაციები) დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოებიs მიზნით 2022 წლის 6 დეკემბერს გამოცხადებულ NAT220025984 ელექტრონულ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის (შპს „საბა კონსტრაქშენ“; ს.კ.:440886098) მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასება.

**ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ:**

სატენდერო კომისიის სხდომაზე დამსწრე პირები გაეცნენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლში აღწერილ ინტერესთა კონფლიქტის პირობებს და ოქმზე ხელმოწერით დადასტურეს, რომ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (NAT220025984) მონაწილე პრეტენდენტის მიმართ არ აქვთ ინტერესთა კონფლიქტი.

**მოისმინეს:**
სატენდერო კომისიის აპარატის წევრის ირაკლი თუშურაშვილის ინფორმაცია - NAT220025984 ელექტრონულ ტენდერში ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით მონაწილე ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი იქნა შპს „საბა კონსტრაქშენ“-ის მიერ, პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დააფიქსიებული საბოლოო ფასი შეადგენს 301`842.91 ლარს.
ირაკლი თუშურაშვილმა სატენდერო კომისიას განსახილველად გადასცა პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია.

**განიხილეს:**
პრეტენდენტის მიერ NAT220025984 ელექტრონულ ტენდერში ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით ატვირთული დოკუმენტაცია, განხილვის შედეგად დადგინდა შემდეგი:

1. სატენდერო დოკუმენტაციის დანართები N1 - პრეისკურანტები წარმოდგენილია, როგორც EXCEL, ასევე PDF ფორმატში და დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით. დანართებით N1 გათვალისწინებული ყველა პოზიცია არის განფასებული. ფასი წარმოდგენილია ლარში და დღგ-ს გარეშე შეადგენს 301`842.91 ლარს. პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ღირებულებები (ერთეულის ღირებულებები) არ აღემატება პრეისკურანტებით განსაზღვრულ ზღვრულ ღირებულებებს (ერთეულის ღირებულებებს); პრეისკურანტის სამუშაოების ტექსტური ნაწილი თანხვედრაშია წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ტექსტურ ნაწილთან; პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ღირებულებების საერთო ჯამი არ აღემატება პრეისკურანტების სავარაუდო ჯამურ ღირებულებას; პრეისკურანტების თითოეულ პოზიციაზე ფასის კლება არ არის განხორციელებული პრეისკურანტების სავარაუდო ჯამურ ღირებულებასა (308`002.77 ლარი დღგ-ს გარეშე) და პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებულ (301`842.91) პრეისკურანტების საბოლოო ჯამურ ღირებულებას შორის არსებული პროცენტული სხვაობის მიხედვით, შემსყიდველის მიერ სისტემაში ატვირთულ პრეისკურანტებში განსაზღვრულ ფასებთან მიმართებაში და საჭიროებს დაზუსტებას.
2. სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N2 (თანხმობა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ტექნიკურ დავალებაზე) წარმოდგენილია PDF ფორმატში, დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით და შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
3. სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N3 (თანხმობა შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადებისა (დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი) და ობიექტების დაზღვევის შესახებ) წარმოდგენილია PDF ფორმატში, დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით და შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
4. სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1. მუხლით გათვალისწინებული მინიმალური მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით წარმოდგენილი არის შპს „საბა კონსტრაქშენ“-ის გამოცდილების შესახებ ინფორმაცია, რომელშიც მითითებული არის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემის (w.w.w. http://procurement.gov.ge/) საშუალებით ჩატარებული შესყიდვის საშუალების ნომერი. ასევე, გამოცდილების შესახებ ინფორმაციაში მითითებული არის სამუშაოსა და შემსყიდველის დასახელება, შესრულებული სამუშაოების ღირებულება და სამუშაოების დაწყებისა და დასრულების თარიღი. შპს „საბა კონსთრაქშენ“-ის გამოცდილების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არის ერთი დოკუმენტის სახით და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

5. სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1. პუნქტით (მოთხოვნა პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ) განსაზრვრული კომპონენტი N1-ით გათვალისწინებული მინიმალური მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში CMR200047764 მოდულში ატვირთული დოკუმენტაციისა და ინფორმაციის შესწავლით დადგინდა, რომ შპს „სპორტმშენსერვისს“ გამფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „საბა კონსტრაქშენ“-თან (CMR200047764_ხელშეკრულება N35; თარიღი: 29/02/2020წ.; თანხა: 70,800,000.00 ლარი) ქ.თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N15ა-ში (ს/კ 01.14.04.030.044) 10,000 მაყურებელზე გათვლილი მრავალფუნქციური სპორტული ობიექტის სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და სამშენებლო-სამონტაჟო, კეთილმოწყობის სამუშაოების შესყდვაზე. მხარეთა შორის 2022 წლის 24 აგვისტოს გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის და დამკვეთის

2021 წლის 25 მაისის MES 1 21 0000484106 წერილის თანახმად, ხელშეკრულების ფარგლებში საპროექტო სამუშაოები, 800,000.00 ლარის ღირებულებით, სრულად არის შესრულებული. აღნიშნული, თავისი შინაარსით საპროექტო ნაწილში (ხელშეკრულების საპროექტო დავალებით მოთხოვნილი მომსახურების შინაარსი) აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნას (სპორტული ობიექტები განეკუთვნება საზოგადოებრივ შენობებს, რაც სამოქალაქო შენობების კერძო შემთხვევაა). სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ხელშეკრულებას მინიჭებული აქვს სტატუსი: „შესრულებული ხელშეკრულება“. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, შპს „საბა კონსტრაქშენ“-ს 2017 წლის 01 იანვრიდან ელექტრონული ტენდერისათვის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ სტატუსის მინიჭების თარიღამდე პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე ერთი დასრულებული ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული აქვს სამოქალაქო დანიშნულების შენობების მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაცია. შესრულებული საპროექტო სამუშაოების ღირებულება აღემატება სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ 360 000 ლარს და შეადგენს 800,000.00 ლარს.

4. სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1. პუნქტით (მოთხოვნა პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ) განსაზღვრული კომპონენტი N2-ით გათვალისწინებული მინიმალური მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში CMR200047764 მოდულში ატვირთული დოკუმენტაციისა და ინფორმაციის შესწავლით დადგინდა, რომ შპს „სპორტმშენსერვისი“ და შპს „საბა კონსტრაქშენ“-ის შორის 2020 წლის 29 თებერვალს გამფორმებული N35 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „საბა კონსტრაქშენ“-ს შესრულებული აქვს ქ.თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N15ა-ში (ს/კ 01.14.04.030.044) 10,000 მაყურებელზე გათვლილი მრავალფუნქციური სპორტული ობიექტის სამშენებლო სამუშაოები, რაც აკმაყოფილებს მშენებლობის ნაწილში საკვალიფიკაციო მოთხოვნას (სპორტული ობიექტები განეკუთვნება საზოგადოებრივ შენობებს, რაც სამოქალაქო შენობების კერძო შემთხვევაა), ხოლო შესრულებული სამუშაოების საბოლოო ღირებულაბამ, მხარეთა შორის 2022 წლის 24 აგვისტოს გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად შეადგინა 89,812,804.6 ლარი. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ხელშეკრულებას მინიჭებული აქვს სტატუსი: „შესრულებული ხელშეკრულება“. შესაბამისად დადგინდა, რომ შპს „საბა კონსტრაქშენ“-ს 2017 წლის 1 იანვრიდან ელექტრონული ტენდერისათვის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ სტატუსის მინიჭების თარიღამდე პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე ერთი დასრუელბული ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული აქვს სამოქალაქო დანიშნულების შენობ(ებ)ის მშენებლობის სამუშაოები, ხოლო მიწოდებული სამუშაოების ღირებულება აღემატება სატენდერო პირობებით მოთხოვნილ 12 000 000 ლარს.

**დაადგინეს:**

1. NAT220025984 ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად ჩაითვალოს შპს „საბა კონსტრაქშენ“-ის სატენდერო წინადადება.
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს 27-ე მუხლის მე-10 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, შპს „საბა კონსტრაქშენ“-ის მიერ, წინამდებარე ოქმის (ოქმი N2) სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის თარიღიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში, სისტემის მეშვეობით წარმოსადგენია პრეისკურანტების დაზუსტებული განფასება, შემდეგი შენიშვნების გათვალისწინებით:

   • პრეტენდენტის მიერ დაზუსტებულად წარმოდგენილი პრეისკურანტების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მის მიერ სისტემის მეშვეობით დაფიქსირებულ პრეისკურანტების ჯამურ ღირებულებას, ხოლო ერთეულის ღირებულებები არ უნდა აღემატებოდეს პრეისკურანტებით განსაზღვრულ ერთეულის ზღვრულ ღირებულებებს.

   • პრეისკურანტების თითოეულ პოზიციაზე ფასის კლება უნდა განხორციელდეს, მინიმუმ, პრეისკურანტების სავარაუდო ჯამურ ღირებულებასა და პრეტენდენტის მიერ, სისტემის შესაბამის ველში დაფიქსირებულ, პრეისკურანტების ჯამურ ღირებულებას შორის არსებული პროცენტული სხვაობის მიხედვით, შემსყიდველის მიერ სისტემაში ატვირთულ პრეისკურანტებში განსაზღვრულ ფასებთან მიმართებაში. პრეტენდენტი ვალდებულია, ერთეულის ღირებულებები გამოსახოს და შესაბამისად გაიანგარიშოს ლარის მეასედის - თეთრების სიზუსტით (მძიმის შემდეგ ორი ციფრი).

   • დაზუსტებული პრეისკურანტები წარმოდგენილი უნდა იყოს Microsoft Excel Worksheet-ისა და PDF ფაილების ფორმატით, ხოლო PDF ფაილის ფორმატით წარმოდგენილი დაზუსტებული პრეისკურანტები სავალდებულოდ დამოწმებული უნდა იყოს პრეტენდენტის უფლებამოსილი

პირის კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, ან ორგანიზაციის კვალიფიციური ელექტრონული შტამპით

3. შპს „საბა კონსტრაქშენ“-ის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარმოსადგენად (სატენდერო დოკუმენტაციის 6.1., 6.3. და 6.4. პუნქტების გათვალისწინებით) და ხელშეკრულების დასადებად, განესაზღვროს არანაკლებ 4 და არაუმეტეს 10 სამუშაო დღე.
4. სატენდერო კომისიის აღნიშნული საოქმო გადაწყვეტილება პრეტენდენტის შეტყობინებად და ჩაბარებულად ითვლება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში NAT220025984 ატვირთვის მომენტიდან.
5. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს უზრუნველყოს წინამდებარე ოქმის ატვირთვა შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში NAT220025984.

**სატენდერო კომისიის სხდომაზე დამსწრე პირთა ხელმოწერები:**

დავით ტაბიძე

აღმასრულებელი დირექტორი

დირექცია

გიორგი ციბაძე

აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე

დირექცია

ლევან შარვაძე

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე CFO

დირექცია

გიორგი კარტოზია

დეპარტამენტის უფროსი

შეფასებისა და დაგეგმვის დეპარტამენტი

გრიგოლ ფერაძე

დეპარტამენტის უფროსი

ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი

ნიკოლოზ დოლიძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული დეპარტამენტი

ირაკლი ფარესიშვილი

დეპარტამენტის უფროსი

შესყიდვების დეპარტამენტი

ზაზა სიმონია

განახლებული რეგიონების პროგრამის მენეჯერი GOG 3

დირექცია

ერეკლე თუშურაშვილი

შესყიდვების სპეციალისტი

შესყიდვების დეპარტამენტი